პროექტი

საქართველოს კანონი
„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №49, 18. 12, 2000, მუხ. 49) დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

„მუხლი 5^1. მოთხოვნები ფილმის დემონსტრატორთა და ფილმის ჩვენების მიმართ

1. ფილმის დემონსტრატორის მიერ ფილმის (მათ შორის დოკუმენტური და ანიმაციური ფილმის) კინოდარბაზში ჩვენება, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდეგში - კომისია) სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, პერიოდულობით და წესით, შესაძლებელია მხოლოდ კომისიის მიერ განსაზღვრულ ფილმის პირველადი წარმოების ენაზე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სავალდებულო სუბტიტრირების პირობით.

2. ფილმის დემონსტრატორის მიერ კინოდარბაზში ფილმის ჩვენების მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება ამ კანონით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე და 71-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**